წელიწადი მეოთხე. № 41. 19 ოქტომბერი. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «იბერიის» რედაქციაში სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლებში № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

—

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენებზედ.

«იბერიის» ფასი:

ერთის წლისა, გაგზავნით ან გაუგზავნ. . . 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . 3 მ. 50.
თითო ნომერი . . . . . — 15.

—

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად მოვლინებულ წერილებს.

ქართველოლოგიის ინსტიტუტი საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ტფილისი

გამოდის ხუთშაბათობით

საძიებელი: I. საქართველოს მატიანე: ორიოდე სიტყვა ქართულს სახელმძღვანელოებზე (წერილი ქუთაისიდამ). — II, საზოგადოებრივ მიმოხილვა. — III. მოკლე შენიშვნები საზღვარ-გარეთიდამ (შემდეგი). — IV. რამეთუ კაცი ვარ, მოთხრობა (შემდეგი). — V. წერილი რედაქტორთან. — VI. განცხადება.

საქართველოს მატიანე

ორიოდე სიტყვა ქართულს სახელმძღვანელოებზე.

(წერილი ქუთაისიდამ)

F 3051.

როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ტფილისის ოლქის სასოფლო სასწავლებელთა დირექციამ გარდასწყვიტა დღეის შემდეგ სასოფლო სასწავლებლებში ყველა საგნების სწავლება ქართულს ენაზე იქნეს, და სახელმწიფო, რუსული ენა კი, როგორც ენა ისწავლებოდეს *).

ამ გარდაწყვეტილების ასრულებით უეჭველად უნდა მოველოდეთ, რომ გაიდგიმებს ჩვენი მწიგნობრობის საშვალოდ-ოდიო განყოფილება, რომელსაც დიდი ხანია ღრმა ძილით ჩასძინავს.

იყო დრო, როდესაც საქართველოს ჭქონდა თვისი საკუთარი პირველ დაწყებითი, შუათანა და უმაღლესი სასწავლებელი, რომლებში, ამ გვარ სასწავლებელთათვის ჩვეულებრივ საგანთა გარდა ისწავლებოდნენ, ბერძნული, არაბული და სპარსული ენები. ყველა ამ საგნების სახელმძღვანელონი მცირე რიცხვის გარ-

*) თუმც უმაღლესს მმართებლობის გარდაწყვეტილებით თავიდგანვე ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამავე დირექციის ღონემდის არ მოჰყავდა სისრულეში...

და იყენენ ხელთ-ნაწერნი, რადგანც ბეჭდვა იმ დროს გადაწერაზე უძვირესად უღირდათ.

მაგრამ ქართველთა ბედის ჩარხი დატრიალდა შეკუღმა და მათ თან-და-თან გამოუსხლტათ ქართული სასწავლებელნი, ... ; ქართულს სახელმძღვანელოებს ადგილი მოესპოთ, გაჭრენ და რომელიმე მათგანის პოვნა ახლა პატივს სდებს მისს მოძნახველს...

მაგრამ ახლა, ვიმეორებთ, უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ გაიდგიმებს ჩვენის მწიგნობრობის საშვალოდ-ოდიო განყოფილების ერთი ნაწილი—სახელდობრ პირველ დაწყებითი სწავლის კურსი, რადგანც ჯერ-ჯერობით ქართულს ენაზე სწავლა მხოლოდ პირველ დაწყებით სასწავლებლებშია შემოღებული. ჩვენ ამ იმედის განცხადების საფუძვლად გვაქვს იმ უფალთ კეთილ-გონიერება და ვალდებულების ცნობა, რომელთაც შეუძლიანთ ეხლა-ხანს საჭირო სახელმძღვანელოების შედგენა...

ჩვენ ზედ-მიწევნით ვიცით, რომ ქვეშ მოყვანილ პირებს შემდეგი სახელმძღვანელონი აქვთ შედგენილნი:

მღვდელს დიმიტრი ჯანაშვილს, ძველი აღთქმის სამღვრთო ისტორიის შემადგენელს: შემოკლებული ქართული ღრამმატიკა და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია.

უფ. ა. ბ. ჭიჭინაძეს: პირველ დაწყებითი კურსი (საზოგადო ცნობა) ღეოგრაფიისა. საშუალო განყოფილებაში ჩართულია საჭირო ისტორიული ცნობები, ყოველ ახალ სტატიის შემდეგ გასამეორებელი კითხვებით. საზოგადოთ ეს სახელმძღვანელო საქმის ცოდნითაა შედგენილი.

უფ. ი. ს. მესხს — არითმეტიკა. პირველს ორს წელში სასწავლებელი შემადგენელს გარდა რუსულ შკოლისს სახელმძღვანელოებისა მხედველობაში ჰქონდა უფრო გერმანიულნი.

ყველა ეს სახელმძღვანელონი ამ ხუთს-ექვს თვეში იქნებიან დაბეჭდილნი, როგორადაც თვით შემადგენელნი გვუბნებიან, გარდა ძველ. დიმიტრი ჯანაშვილისა, რომელიც მოსკოვის სასწ. აკადემიაშია აგერ წელიწადზედ ზეტია. ეს მეოთხობის დროს მას სახელმძღვანელოების გამოგებას მეტირელა უკლდა და ამბობდა: „შესრულების შემდეგაც ბეჭდვას არ დაგუჩქარებო.“ მაშინ მას შეეძლო ამის თქმა, მაგრამ ახლა, როდესაც გარემოება შეიცვალა და ბუნების კანონმა ე. ი. სამშობლო ენაზე სწავლების წარმოებამ ცხარე ბრძოლის შემდეგ საბანადო ადგილი დაიჭირა, ვიმედოვნებთ, რომ გაუსსენებლადაც სცნობს მათი დაბეჭდვის დაჩქარების საჭიროებას.

როგორც ზემოყვანილ სახელმძღვანელოთა შემადგენლებისთვის, ისე სხვებისთვისაც ჩვენ გვსურს შემდეგის თქმა:

თავი და თავი ღირსება ყველა სახელმძღვანელოებისა და ნამეტურ ბირველ დაწყებითისა არის ენა, რომლითაც იგია დაწერილი. რაც უფრო ცხოველად აღწერილია რომელიმე ფაქტი, რაც უფრო ნათლადაა რომელიმე მოგლენის თვისება და ჭეშმარიტება აღსნილი, მით უკეთესია სახელმძღვანელო და მასთანვე ძრიელ გაუადვილებს მოსწავლეთ სწავლას და შეუმტკიცებს მასწავლებლის დახმარების საჭიროებას. ამასთანვე, რასაკვირველია, ხეირიანი მასწავლებელიც თუ ჰყავს, იგი აღუძრავს მოსწავლეს სურვილს თვით სწავლისადმი, რომლის მიღწევა, ჭერბერტ სპენსერისა არ იოს, უნდა ჰქონდეს მიზნად ყოველ ხეირიან სწავლის მეთოდას.

ი—ა ი—ძე.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡᲗᲕᲔ.

საპოლიტიკო მიმოხილვა

გერმანიის რეიხსტაღს მიუღია სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგი კანონი, თითქმის მთლად იმ რედაქციით, რომელიც დასდვა კომმისიამ და რომელიც მოუვანილი იოო ჩვენის გაზეთის წარსულ ნომერში. რეიხსტაღში კანონს ერგო 221 თეთრი ბენჭი და 149 შავი. ეხლა, როდესაც ეს კანონი ცხოვრებაშია ჩავარდნილი და თვით საქმით მოქმედობს, იმ გაცხარებულ ბასსს, რომელიც მის თაობაზედ გაიმართა რეიხსტაღში, ეძლევა მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა. მაგრამ მაინც რამდენიმე ადგილი ამ ბასისა ღირს-შესანიშნავია, რადგანაც იგი ცოტად თუ ბევრად ნათელსა სდებს საზოგადოდ გერმანიის შინაგან საპოლიტიკო მდგომარეობასს. წარსულ ნომერში მოუვანილი იოო შემოკლებით ბისმარკის სიტყვა, რომელიც ცხადათ გვიჩვენებს ერთს გარემოებას: ბისმარკს დღედღეზედ ელევა სიმკვიდრე და უტუდება სახელი. მართლა და თუ არ გრძნობა თავის-თავის სისუსტისა სსვა რა მიზეზია იმ ბრაზისა და აღელვებისა, რომელიც გამოიჩინა ბისმარკმა პარლამენტის ბასსში? სადღაა უწინდელი ბისმარკი უშიშარი, შეუდრეკელი, მტკიცედ მგრძნობელი თავის-თავის დიდებისა და სიმძლავრისა, რომელსაც ფეხქვეშ ეგებოდა მთელი ქვეყანა დიდიდამ პატარამდე? სადღაა ბისმარკის დამჯდარი და ცივად ლაპარაკი? ბისმარკი ანჩხლობს, ბრაზი მოსდის, სისხლი ემღვრევა. ეს ვერათერი ნიშანია, ღვთის წინაშე, მის დიდებისათვის. გეხსომებათ, რასაკვირველია, თუ რა იარადი იხმარა ბისმარკმა იმ ლაპარაკში, რომელიც მოუვიდა მას ზონნემანთან რეიხსტაღში. მან დასწამა ზონნემანს, ვითომ იგი, ე. ი. მისი გაზეთი დაახლოებულ მისვლა-მოსვლაშიაო სათრანგეთის მთავრობასთან. ამის თაობაზედ ბისმარკს არავითარი დასამტკიცებელი სბუთი არ მოუვანია და არც მიიუვანდა, კიდეც რომ მოეკითხა ვისმეს, იტყოდა—უმაღლესი საპოლიტიკო მოსაზრება ნებას არ მაძლევსო ამ გვარი საბუთის მოყვანისასაო. გარდა ამისა ზემოხსენებული გარემოება არა ვითარ არ შეეხებოდა პარლამენტში წამოყენებულს საგანს, ე. ი. სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ კანონს. მაგრამ რას დასდევს ბისმარკი? მისთვის საჭიროიოო მხოლოდ ის შთაბეჭდილება მსმენელთა შორის, რომელიც მოჰყვებოდა ბისმარკის მიერ აღიარებულს ბრალდებულობას ზონნენანის შესახებ. ბისმარკმა კარგად იცის, რომ გერმანიის საზოგადოება მტრულად გაჰსტქერის სათრანგეთს; ან თუ არ მტრულად, ეჭვი მაინც ყოველთვის უდევს გულში. ბისმარკმა იგრძნო, რომ უსხლტება მას ფეხი და წაავლო ხელი უკანასკნელ იარაღს: თვის მსმენელთ თითქო ანიშნა—სოციალ-დემოკრატთა ზურგს

უკან დგასო სოფრანგეთი, რომელიც სულს უდგამსო მათ და ამხნევებსო. ვიმეორებ—ეს ვერაფერი ნიშანია ბისმარკის მძლავრობისა.

მრავალი მწარე სიტყვა ბისმარკსაც მოხვდა. აი, მაგალითებრ, რა სთქვა დეპუტატმა ჭასსელმანმა: „აქამდისინ სოციალ-დემოკრატნი ქადაგობდნენ კანონიერად და მშვიდობიანად; მაგრამ თუ შემდეგში საქმე სხვაფერიე წავიდა (მთავრობას ხომ ეს უნდა) და ასტუდა სისხლის ღვრა, ცოდვა ამ კანონის შემომღებთ დაედვოთ. სოციალ-დემოკრატიის დასის მოღვაწეთ არ ეშინიანთ ამ კანონისა. რასაკვირველია, იგი დაღუპავს მრავალ სიცოცხლეს; მაგრამ ეს მზადაა მსხვერპლისათვის, რადგანაც დარწმუნებულია, რომ თუ გადაბრუნდა ერთი, მის მაგივრად ბრძოლის ველზედ გამოჩნდება ათი სხვა. სოციალ-დემოკრატთა აზრის გაწყვეტა ძალმომრეობით შეუძლებელია. მთავრობას რომ ჭსურდეს მხოლოდ იმ მიმართულების ამოწყვეტა, რომელიც სტდილობს ძირიანად ამოგლეჯოს სასულმწიფოის აწინდელი წყობა, ამისათვის აწ მომქმედნი კანონებიც საკმაო იქმნებოდნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მთავრობის წინადადება უფრო შორსა სწვდება და ჭსურს მოსპოს ყოველ-გვარი დაწყება მიმართული მუშახალხთა ბედის გაკეთებისადმი. წამოყენებულის კანონის ძალით თვითონ ბისმარკიც უნდა მიეცეს სამართალს, როგორც სოციალისტთა დასის მოღვაწე. სოციალისტები კი არა, არამედ თვით ბისმარკი ჭერიდა ტახტიდამ მეფეებს და მით ამცირებდა ხალხის თვალში მეფის გვარის უფლებათა სიმკვიდრეს; თვითონ ბისმარკს გაჭვანდა ხალხი ომში და არა სოციალისტებს, რომელთა გულის წადილი არსებობს იმაში, რომ ხალხთა შორის სუფევდეს მარადი მშვიდობიანობა. თავ. ბისმარკი ამბობს ვითომ სოციალ-დემოკრატთა დასს არავითარი მტკიცე აზრი და წინადადება არ წარმოედგინოს, ორში ერთი—ან ბისმარკს თვალუური არ უდევნებია რეიხსტაღის მოღვაწეობისათვის, ან არა და,—ძნელი სათქვენელი კია,—ტყუილს ამბობს. როდესაც წამოყენებულნი იყვნენ კანონები ხელოსნების შესახებ, სოციალ-დემოკრატის დასის დეპუტატებს ყოველთვის შემოჭქონდათ ამ კანონების ყოველს მუხლის შესახებ წინადადება, რომელიც მომართული იყო მუშების კეთილ-მდგომარეობისათვის. მაგალითებრ, სოციალ-დემოკრატის დეპუტატები თხოულობდნენ ქარხანებზედ ზედამხედველობის დადგენას, მუშაობის დროის (ე. ი. რამდენი საათი უნდა იმუშავოს დღეში მუშამ) შემცირებას, დედა-კაცთა და ბავშვთა (ქარხანებში) ხელის შეწყობას. ამ გვარი მიმართულება ჭქონდათ იმ წინადადებებს, რომელნიც შეჭქონდათ დეპუტატებს რეიხსტაღში და რომელნიც მომეტებულად უნაყოფოთ დარჩნენ. ბისმარკს ვერ გაუგია მიზეზი სოციალიზმის გავრცელებისა. საფრანგეთის ომიანობის შემდეგ იმპერიის კანცლერი (ბისმარკი) და გენერლები უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი, რეზერვიის ჯარის კაცებს კი უკანვე წაართვეს ის ფული, რომელიც მიეცათ მათ ჯამაგირში ომის წინ. მუშახალხს ისე ექცეოდნენ, როგორც ერთ მტრის ჯარს. ყველა ამ გვარმა გარემოებამ დააყენა მუშები სოციალ-დემოკრატიის გზაზედ“, უფ. ჭასსელმანი ამტკიცებდა სოციალ-დემოკრატიის მოძრაობის საჭირეობას აწინდელ საზოგადოების წყობის წინაშე. „თუ წამოყენებული კანონის ძალით შეუძლებელ იქმნა ამ მოძრაობის მშვიდი და ბუნებითი განვითარება, მაშინ ხალხი თვითონვე მოჭიდებსო ხელს თვის საქმეს და გულ-და-გულ დაუხვდებაო თვის მოპირდაპირეთ ბარრიკადებზედ“ (დიდი მოძრაობა დეპუტატთა შორის). ბოლოს ჭსთქვა შემდეგი: „ურჩევ თავ. ბისმარკს ნუ დაიგვიწყებს 18 მარტს 1848 წ.“.

რას უქადის ახალი კანონი გერმანიის შინაგან ცხოვრებას, ღმერთმა უწყის. გერმანიაში ამ ჟამად სოციალ-დემოკრატთა დასის ამომრჩეველთა რიცხვი ოთხას ათასზე მეტია. ამოდენა ხალხის დევნა ადვილი და უბრალო საქმე არ იქმნება მთავრობისათვის. ბისმარკს ყველა ეს, რასაკვირველია მით უფრო აბრაზებს, რომ ატდენს გარეშე პოლიტიკისათვის ამ ჟამად, როდესაც ხალხთა შორის დახლართული ურთიერთობა კარგს შემთხვევას აძლევს იმ გვარ მოღვაწის გამჭრიახობას, როგორიც ბისმარკია. რა თქმა უნდა, რომ ბისმარკსაც დიდი მადა უნდა ჭქონდეს გახსნილი, მაგრამ მისდა საუბედურად ტოტად თუ ბევრად ხელ-ფეხ შეკრულია. მაგრამ ვინ იცის, იქმნება ისეთი რამ თავგანწირული მოძრაობა იხმარონ, რომ ან თან თავი ჩაუოლონ, ან არა და გამარჯვებული გამოვიდეს განსაცდელისაგან. ბისმარკისაგან ყოველითვერი მოსალოდნელია. ბევრჯელ მომხდარა, რომ მთავრობას შინაურის განსაცდელის აცილებისათვის ომი აუტეხნია. რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს უარესი დღე დადგება ხოლმე, მაგრამ გაჭირებაში რას არა იქს კაცი.

— დიდი ხანია საფრანგეთზედ აღარა გვითქვამს რა, და არც იყო ღირს-შესანიშნავი რამ სათქმელი. კარგად

მოგეხსენებათ, თუ რა სურათი გადუშალა საფრანგეთმა მთელს ქვეყანას პარიჟის გამოფენაში, სურათი თვისის დიდებისა, სულისა და ნივთიერების სიმდიდრისა და ძლიერებისა. რესპუბლიკის დამტკიცებისათვის სამარადისოდ, ისე რომ მის მოღალატეთ ხელ-ფეხი მოკვეთილი ჰქონდეთ, ერთიღა უკლია აწინდელ მთავრობას: სარესპუბლიკო სენატი, რომელიც შესდგებოდეს მართლა რესპუბლიკის მოღვაწეთაგან და არა მის მტერთაგან. როგორც ეხლა შემდგარი სენატი მომეტებულად. რასაკვირველია, სხვაც მრავალი რამ უკლია საფრანგეთს ხორცში და კანში რესპუბლიკის გაჯდომისათვის, მაგრამ ამაო იქმნება და ფრთამოკვეთილი ყოველ-გვარი მოღვაწეობა თუ ქვეყნის უმაღლეს გამგეობაში, რომელსაც უპყრია კანონმდებლობითი უფლება, არსებობს განხეთქილება და ორფერობა. დეპუტატთა პალატის უმრავლესობა რესპუბლიკის მომხრეა. როდესაც სენატიც უმრავლესობას იგივე გულ-წრფელი მომხრე იქნება რესპუბლიკისა, მაშინ რესპუბლიკის მოღვაწეთ გზა-გახსნილი ექმნებათ და, თუ მართლა გული სტკივათ ხალხის ბედნიერებისათვის, მათ გულის წადილის აღსრულებას აღარავითარი დაბრკოლება არ დაუხვდებათ მთავრობის მხრით. საფრანგეთის სენატი, როგორც მოგეხსენებათ; შესდგება სამასი წევრისაგან, რომელთა შორის სამოც-და-ხუთმეტი შეუცვლელია, ე. ი სიკვდილამდე არიან ამორჩეულნი, დანარჩენნი კი იცვლებიან ამ გვარად: დაყოფილნი არიან სამ გუნდათ (თითოში სამოც-და-თხუთმეტი სენატორი), რომელნიც რიგ-რიგზედ იცვლებიან სამ წელიწადში ერთხელ. ასე რომ სამის წლის შემდეგ გამოდის ერთი გუნდი (სამოც-და-თხუთმეტი სენატორი) და მის შეცვლისათვის ინიშნება ახალი არჩევანი სამის წლის შემდეგ გამოდის რიგზედ მეორე გუნდი, რომლის შესაცვლელად ინიშნება ახალი არჩევანი, და სხვ. აწინდელის სენატის (რომელიც 1876 წელს იყო ამორჩეული) ერთს გუნდს წრეულ უთავდება ვადა და მის შეცვლისათვის მომავალ ხუთ იანვრისათვის ახალი არჩევანია დანიშნული. უნდა მოგაგონოთ კიდევ, თუ როგორ ირჩევენ სენატორებს. სენატორების ამორჩევაში მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, დეპარტამენტის და მაზრის საბჭოს წევრნი და მუნიციპალის საბჭოს წარმომადგენელნი აა ამ თვეს უნდა მოხდეს ამ წარმომადგენელთა არჩევანი, რომელნიც თავის მხრით იანვარში მონაწილეობას მიიღებენ სენატორებისათვის კენჭის ყრაში. სენატორების ამომრჩეველთ უმრავლესობა, რასაკვირველია, შესდგება სოფლის საზოგადოების წარმომადგენელთაგან (დელეგატებთაგან). მაგალითებრ, ამ ჟამად თოთხმეტ ათასზედ მეტი სოფლის საზოგადოებაა მიწვეული თვისი წარმომადგენელთ აღმორჩევისათვის. ამიტომ ამ დელეგატების არჩევანს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მათ შორის უმეტესი ნაწილი რესპუბლიკის მომხრე იქმნება, რაღა თქმა უნდა, რომ სენატორებიც რესპუბლიკის მოღვაწეთაგან იქმნებიან ამორჩეულნი. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ გამბეტა დაიარება ეხლახან თავის ქვეყანაში და თვის ძლიერის სიტყვით ქადაგობს რესპუბლიკის გულისათვის, ამას წინად, მომავალ არჩევანის შესახებ გამბეტამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა, რომელიც მოგვყავს შემოკლებით:

„გვიახლოვდება წუთი, რომელიც შეიქმნება წუთად ჩვენის განთავისუფლებისა. თქვენ ჩემზედ უკეთესად იცით თუ რა ზომიერება უხმარიათ იმ პირთ, რომელთაც ჰსურდათ ძველი დროება დაებრუნებინათ საფრანგეთისათვის. ჩვენ საერთოდ უნდა მოვძებნოთ საშუალება ამ გვარის შიშის აცილებისათვის რამდენიმე დღის შემდეგ მოწვეულნი იქმნებით იმ პირთ აღმორჩევისათვის, რომელთაც მიანდობთ უმძიმეს საქმეს. ამ დღეს უნდა ჩააგონოთ ხალხს და მის წარმომადგენელთ, რომ რესპუბლიკის ბედი მათ ხელში არის. როგორც საყოველთაო არჩევანის დროს, ისე ეხლა უნდა ეთქვას ხალხს: — შენს კენჭზედ არის დამოკიდებული წესიერება თუ უწესოება. აწ მომავალ ჟამს ისეთივე მნიშვნელობა აქვს შინაგან მშვიდობიანობისათვის, როგორიც ჰქონდა საყოველთაო არჩევანის ჟამს გარეშე მშვიდობიანობისათვის. თუ 16 მაისის მოღვაწეთ უღალატეს ხალხის უფლებას და სურვილს, ეს მოხდა იმიტომ, რომ სენატის უმრავლესობამ მოუმართა მათ ხელი და თვის ნებაზედ ატრიალებინა საფრანგეთის ბედ-იღბალი. ხალხის არჩევანმა რისხვა უნდა მიუგოს სამუდამოდ ამ გვარ კაცებს და მათ პოლიტიკასაც. თქვენზედ ჰკიდია საფრანგეთის დაცვა რესპუბლიკის მტერთაგან. მუნიციპალის საბჭოს წევრნი მოვალენი არიან კარგად გასინჯონ იმ პირთა ცხოვრება, საქციელი და წარსული, რომელნიც გამოვლენ კანდიდატად. რესპუბლიკა ყველასათვის კარ-ღიაა მის მტერთ გარდა ჩვენში ბევრს სასირცხვოთ მიაჩნია რესპუბლიკელის სახელიც. არა, ეს აღარ უნდა იყოს. (ტაშის კვრა). სასენატო არჩევანი კარგს შემთხვევას გვაძლევს მივაჩვიოთ საფრანგეთის გლეხი კონსტიტუციას, გავაგებინოთ

,,მას მისი ღირსება, ვაგრძნობინოთ მისის სურვილის
,,მნიშვნელობა პოლიტიკის მიმართულებაში, გავაგებინოთ,
,,რომ მან უნდა უსათუოდ ასწოროს თვისი მოქმედობა,
,,უნდა გაიცნოს ხალხი და ნათლად დაინახოს თვისი პა-
,,სუხის-გებლობა. სოფლის კაცს, მიწის მუშას სხვაზედ
,,უფრო მეტად უჭირს მკვიდრი მშვიდობიანობა. ყველა ამ
,,სიკეთის დაცვა მასზედვე არის დამოკიდებული. ამისათ-
,,ვის მან უნდა მხოლოდ გონებიანად და თავისუფლად
,,ამოარჩიოს თვისი წარმომადგენელნი. გლეხს აცუუებენ,
,,აგონებენ ვითომ რესპუბლიკა არეულობისა და დაღუპ-
,,ვის მეტს არაფერს არ უქადისო ქვეყანას. მაგრამ აი
,,შვიდი წელიწადია რაც ამას ქადაგობენ, მაგრამ არავის
,,აღარა ჰსჯერა. ამ გვარი წინასწარმეტყველობა თვით მქა-
,,დაგებელთაც მობეზრდათ. უწინ ეგონათ ვითომ რესპუბ-
,,ლიკა ნიშნავს ქონების განაწილების, საკუთრების გაქარწ-
,,ყლებას, ოჯახობისა და სარწმუნოების ამოწყვეტას; მაგ-
,,რამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში მობეზრდათ
,,ამ გვარი სულელური ლათაობა იმ ქვეყანაში, სადაც არ-
,,სებობს ოც-და-ოთხი მილიონი ქონების პატრონი. ოჯა-
,,ხობის დაქცევაზედ ლაპარაკის დროც გათავდა.“ შემდეგ
გამბეტამ ჩამოაგდო ლაპარაკი სარწმუნოებაზედ და დას-
დვა საზღვარი ნამდვილ სარწმუნოების დაცვისა და კლე-
რიკალთა მეცადინეობის შორის. გარდა ამისა გამბეტამ
სთქვა შემდეგი: ,,ჩემის აზრით იმ რესპუბლიკაში, რომე-
,,ლიც წარმატების გზაზედ არის დაყენებული, სენატს
,,დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ჯერ, მართალია, სრულად
,,ფრთა გაშლილნი არ მივყევართ რესპუბლიკას. ჯერ ჩვე-
,,ნი საქმე არ გათავებულა. ვამბობ ამას აქ, სადაც პირ-
,,ველად აღვიარე უფლება ახალ-ახალ წოდების გვამათ. ჩვენი
,,მიდრეკილებაც იმაში მდგომარეობს, რომ გადავფინოთ
,,სინათლე, მივანიჭოთ ბედნიერება მათ, ვინც დაბლა დგას.
,,(ტაშის კრა)“ ,,მას აქეთ, რაც მხედველობაში ვამოქ-
,,მედეთ თანასწორობა,—სთქვა ბოლოს გამბეტამ,—მიზე-
,,ზი აღარ არის, რომ იგივე თანასწორობა ვამოქმედოთ
,,სხვა გვარ საქმეშიაც. დღეის იქით საფრანგეთს, ძლიერს
,,თვის უფლებით, დარწმუნებულს თვის პოლიტიკაში, რო-
,,მელსაც თვითონვე ჰმართავს, შეუძლიან მშვიდობიანად
,,მიეცეს წარმოებას და თვის შვილთა აღზრდას.“

გამბეტა დარწმუნებულია, რომ მომავალ სენატში
რესპუბლიკის მომხრეთა რიცხვი ოცით იქმნება მეტი წი-
ნააღმდეგ დასზედ.

— ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ სანუგეშო, ე. ი. იმის-
თანა რამ, რაც იმედს გვაძლევდეს მშვიდობიანობის დამკ-
ვიდრებისას, არა ისმის რა. უარესი,—საქმე ამ გვარად
მიმდინარეობს, რომ ადვილად შესაძლებელია ვაი ვაგლახი
და არეულობა ევროპაში. ბერლინის კონგრესის გარდა-
წყვეტილება თითქმის ლიტონი სიტყვა გამოდგა. მართა-
ლია ზოგიერთა მუხლი ამ გარდაწყვეტილებისა აღსრულდა
მაგრამ თან მოჰყვა მრავალი იმ გვარი გარემოება, რო-
მელიც სრულიად ჰსცვლის ხალხთა შორის ურთიერთობას,
რომელიც კონგრესის წინედ იყო. თვითოეული სახელმწი-
ფო ჩივის დანარჩენ ევროპასთან—ძალა დაატანეთო ოსმა-
ლეთს აგები როგორმე კონგრესის განაჩენი აღასრულოსო.
თავის მხრით ოსმალეთიც ჩივის—საქმე სრულიად ისე
არ მიდისო, როგორც კონგრესმა გადასწყვიტაო; უჩივის
ავსტრიელებსაც უდიერად ეკიდებიანო ოსმალებს. ვინ არის
გამგონი? ესრედ წოდებული საერთო ზომიერება ოსმა-
ლეთის დაყოლიებისათვის როგორც უწინ იყო ტყუილ-
უბრალო ლაპარაკი, ისე ეხლა. ერთის მხრით ოსმალეთის
დაყოლიება, ღვთის წინაშე, არავის არ ენაღვლება. მეო-
რეს მხრით თვით ოსმალეთი კარგადა გრძნობს ამას,
ნათლად ჰხედავს, რომ იგი არაფერს არ გამორჩება ევრო-
პას; არამედ გრძნობს, რომ უკანასკნელ სულსაც ამოართ-
მევენ, და ამიტომ ბევრი არა ენაღვლება რა ბერლინის
კონგრესისა. მასვე ართმევენ სულს და მასვე ემდურებიან,
რატომ ხელს არ გვიმართავო! ოსმალეთი იმ გვარ გაჭი-
რებაშია, რომ თვითონაც არ იცის ვის მიადგეს და ვის
არა; ლამის გუშინდელ მტერს გაუყაროს ხელი, ლამის
უღალატოს გუშინდელს მეგობარს..... ამას წინად ამბავი
მოვიდა, ვითომ სტამბოლის ახლო-მახლო მდგომის რუ-
სის ჯარი წამოსვლას აპირებდაო შინისკენ, მაგრამ ისევ
დარჩაო, რადგან მის ზურგს უკან ისევ საშინელი სისხლის
ღვრა გაჩნდაო ოსმალებისა და ბოლგარიელების შორის.
ნამდვილის ჭეშმარიტებისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ
მშვიდობის მოყვარეთ ცუდი ნიშანი დაინახეს ამაში. ალბათ
რაიმე შიში აქვთ ახლა ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ
სხვა სახელმწიფოთა მხრით, ალბათ ავსტრია ბევრს რას-
მეს თხოულობსო და სხვ. ერთის სიტყვით საქმეთა და-
ლაგებამდე ევროპაში ჯერ შორს არის.

რაც შეეხება ბოლგარიას, ახლად განთავისუფლებულ
ქვეყანას, იქ როგორც ისმის, მთავარის ამორჩევისათვის
არიან მზადებაში. აი რას იწერებიან ერთს ავსტრიელ გა-
ზეთში იმის თაობაზედ:

„მალე შეიკრიბება ბოლგარიის ნაციონალური კრება ახალის ბოლგარიის მთავარის ამორჩევისათვის. დანიშნულია კომიტეტი, რომელმაც უნდა ამოარჩიოს კანდიდატი. ყველაზე უწინარეს წამოყენებული იყო სერბიის მთავარი თავადი მილანი ბოლგარიის ტახტისათვის. მილანისათვის ცდილობენ რამდენიმე ახალგაზდა ბოლგარიელნი, რომელთაც ჰსურთ ძალა მისცენ ახალს სამთავროს და იმავე დროს დიდს და სახელმწიფოის ხელში არ ჩააგდებინონ. ამისათვის მათ თვალში უმჯობესია ბოლგარიისა და სერბიის შეერთება. მაგრამ კომიტეტის დანარჩენ წევრებმა აღიარეს, რომ ავსტრია და რუსეთი არას დროს არ დათანხმდებიანო მილანის კანდიდატობაზედ. ამავე საბუთით კომიტეტმა უკუაგდო აგრეთვე ჩერნოგორიის მთავარის კანდიდატობა. წამოყენებული იყო აგრეთვე კანდიდატად რუმინიის მინისტრი ბრატიანო, რომელიც ბოლგარიელია და რუშჩუკში დაბადებული. ბრატიანოს თავის დროზედ დიდი ღვაწლი დაუდვია თვის სამშობლოს განთავისუფლებისათვის, მაგრამ მის კანდიდატობის წინააღმდეგ იგივე საბუთით—რუსეთი არ დათანხმდებაო. სერბიის მინისტრზედ რისტიჩზედაც იყო ლაპარაკი, მაგრამ ამის შესახებ ავსტრია არ დათანხმდებაო. ბოლოს წამოყენებულ იქმნა კანდიდატად ღენერალი იგნატიევი (ადრინდელი რუსეთის ელჩი ოსმალეთის წინაშე), რომელიც მიიღო კომიტეტის უმრავლესობამ, და აი რა საბუთით: ბოლგარიელნი დარწმუნებულნი არიან, რომ მათ სამთავროს მომავალში მეტად ძნელი საქმე მოელის. ახალს სახელმწიფოს მეზობლად ეყოლება მოუსვენარნი და ამასთანვე მკვიდრად მოწყობილნი სახელმწიფონი, რომელთაც ახალის სამთავროსაკენ ეჭირებათ თვალი. ამ უბედურების აცილებისათვის ბოლგარიას უნდა მიეცეს იმ გვარი მოწყობილობა, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა შეეძლოს მათთვის. გარდა ამისა კომიტეტმა აღიარა საჭიროება ყველა ბოლგარიელთა შეერთება. ამისათვის ბოლგარიის ტახტზედ უნდა იჯდეს იმისთანა კაციო, რომელიც ახლო იცნობსო აღმოსავლეთის საქმეებსაო და რომელსაც უფლება აქვსო პატივისცემისა ბოლგარიელთა მიერ. ყველა ამ პირობას აღასრულებსო ღენერალი იგნატიევიო. ბოლგარიელნი ძალიან კმაყოფილნი არიან იგნატიევის კანდიდატობისა.“

რუსული გაზეთი „ბირჟის უწყება“ ართავენ ყველა ამის შემდეგ სტრიქონებს: „თუ მართლა ამ გვარი პლანი სუფევს ბოლგარიელთა შორის, ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავდვათ ეჭვი მისის აღსრულების შესახებ, არც კი ვიცით თვით რუსეთის სარგებლობისათვის სანატრელია თუ არა ამ პლანის აღსრულება, თუმცა წამოყენებულია ჩვენი პატივცემული მამულის შვილი, ევროპაში რასაკვირველია, არავინ არ დაიჯერებს, რომ იგნატიევის ამორჩევა ბოლგარიის მთავრად იყოს მხოლოდ თვით ბოლგარიების ხელთა ქმნილება; ამაში უეჭველად დასწამებენ რუსეთს ქვეშ-ქვეშობას ბალკანიის ნახევარ კუნძულის დასაპყრობლად. ამას მოჰყვება წინააღმდეგობა და საქმის დახლართვა, რომლის აცილება ამ ჟამად უფრო საჭიროა ჩვენთვის ვიდრე როდისმე. გარდა ამისა ზემოხსენებული გარემოება უქადის განსაცდელს თვით ბოლგარიასაც. რომლის დამოკიდებულ არსებობისათვის საჭიროა აიცდინოს თავიდგან ევროპიის სახელმწიფოთა ცილაობა და შურის ძიება.“

მოკლე შენიშვნები სამზღვარ-გარეთიდამ

VI

გემით და ფეხით მოგზაურობა მაინციდამ ვისბადენამდინ.

ვისბადენი 25 ივლისს.

ივლისის 21-ს, დილით ცხრის ნახევარზე ჩავჯექი მე ცეცხლის გემში და გავსწიე მაინციდამ სოფელს კალუფს. ამ დილით ცა ცოტა რა რომ მოღრუბლული იყო და რეინის წყალს დაჰქროდა ცივი ნიავი. მგზავრები, რომლებიც კი საზაფხულო ტანისამოსში იყვნენ, მობუზულები გასცქეროდნენ რეინის ნაპირებს და დიდი სიჩუმე სუფევდა მათ შორის. მხოლოდ პალუბის ერთს კუთხეში ახალი დაქორწილებული ქალ-ვაჟი მიმსხდარიყვნენ და ხანდის-ხან ნაზის ხმით სიჩუმეს არღვევდნენ. ვაჟი კატასავებ შესცქეროდა ქალს თვალებში და მარჯვენა ხელს მის წელს არ აშორებდა. ამ ახლად დაქორწილებულის ვაჟის მოქმედება იმ გვარი იყო, თითქო ეშინოდა ეს „მერცხალი“ ხელიდამ არ გამიფრინდესო, ანუ კიდევ, ხელიდამ არავინ გამომგლიჯოსო. ქალი კიდევ ხან კოხტა ფეხებზე იცქირებოდა, ხან კიდევ თავის პაწია ხელებს შინჯავდა და თავის სახეზე რაღაც სიამოვნებას ხატავდა.

რეინი მაინციდამ მოკიდებული კალუფამდინ გაშლილია და რამდენსამე კუნძულს ხედავთ აქ არც ნაპირები აქვს მაღალი და ღელეც კარგა განიერია; ამისათვის

მგზავრი რეინის ნაპირებზე ვეღარ ხედავს იმ სურათებს, რა სურათებსაც ხედავს ბონიდამ წამოსული, ე. ი. აქ ვეღარ ხედავს მთების კალთებს. მხოლოდ ყურძნის ვაზით შემოსილებს, ვერც მთების ქედებზე ძველს ციხეებს და კოშკებს. აქ უფრო ვაკობაა და ყველაფერს ვაკეობა დაჰჩენია. როცა ცოტათი დავუახლოვდით რეინის მაღალ ნაპირებს, მეგემემ ერთბაშათ დაიძახა: ,,მგონი თქვენ კალუფში მიდიხართ და აი კალუფიც.“ ამის შემდეგ სამი წუთიც არ გასულა, რომ მე ჩავჯექ პატარა ნავში და ამით გაველი მოხსენებულს სოფელში. გასვლის უმალვე სასტუმროში წაველი და აქ მივაბარე ჩემი პატარა ბარგეულობა; მე თვითონ სოფლის სასწავლებლის დასათვალიერებლად წაველი. მასწავლებელი შინ დამხვდა და გამომიცხადა, რომ დღეს მოწაფეები არ მეცადინეობენო და თუ გსურთ მარტო კლასს გაჩვენებთო. მე და ეს ძალზე ხანში შესული მასწავლებელი ავედით შკოლის ზემო სართულში, სადაც ამას კლასი აქვს მომართული. კლასის ოთახი კარგი მოზდილი ოთახია. სტოლები, სკამები, კათედრა, დიდი საწერი ფიცარი — ყველა ეს ახალი ფასონისაა. აგრეთვე ყველა საჭირო ნივთები და წიგნები აქვს ამ სასწავლებელს. როგორც მოხუცებულმა მასწავლებელმა გარდმომცა, კალუფის სასწავლებელი შესდგება სამის კლასისაგან და ამ ჟამად სწავლობს ამ სასწავლებელში ქალი და ვაჟი ას-ოთხმოცამდინ (180). აქ სამი მასწავლებელია და თითოეულ მასწავლებელს თითო კლასი აბარია; აგრეთვე სამივე კლასი ერთს სახლში არ არის მოთავსებული, არამედ სამს სახლში. თითოეული მასწავლებელი თავის კლასის შენობაში, ანუ სახლში სცხოვრობს და ჯამაგირათ აქვს 500 მანეთზე ცოტა მეტი. ამ ჯამაგირიდამ თვითეულს მასწავლებელს ურიცხავენ სახლის ქირას 20 მანეთს წელიწადში. თითოეულს მასწავლებელს სამს მოზრდილს ოთახზე ნაკლები შესაფერი სამზარეულოთი არ უჭირავს და ამასთანავე სახლის გვერდზე, ანუ წინ აქვს მშვენიერი ბაღჩეულობა, სამივე მასწავლებელს ერთი და იგივე უფლება აქვს; ამათში არ არის დიდ-პატარაობა — სამნივე მასწავლებლად იწოდებიან. როგორც ამ სასწავლებელს, ისე ახლო-მახლო სოფლების სხვა სასწავლებლებს შორის, ყურის მგდებლათ ჰყავთ კალუფის სოფლის მღვდელი. აქ უნდა შევნიშნო, რომ ეს სასწავლებელი კათოლიკების, ანუ ფრანგების სასწავლებელია და ამათ სასწავლებლებს ყველგან შორი-ყურის მგდებლათ ჰყავთ მღვდლები.

როცა სასწავლებელი გვარიანად დავათვალიერე და ამის გარემოება დაწვრილებით შევიტყვე, მასწავლებელს გამოვუცხადე ჩემი განზრახვა ზოგიერთის გლეხების ბინადრობა მენახა. ეს განზრახვა დიდად მოეწონა მასწავლებელს და მითხრა: ,,ის სასტუმრო, რომელშიაც თქვენ დაბინავებულხართ, ეკუთვნის გლეხს და ეს გლეხი ჩვენის მაზრის თავი კაციც არის. თუ კიდევ სხვა სახლობაების ნახვას მოინდომებთ და დღეს მოასწრობთ, ამას თვითონ ის გლეხი მოგიხერხებთო.“ ამ მასწავლებლის რჩევით მე ისევ სასტუმროში დავბრუნდი. აქ ვიკითხე სასტუმროს პატრონი და იმასთან ერთმა ცქრიალა ქალმა წამიყვანა კარის ბაღში. აქ სასტუმროს პატრონი უფ. გოფმანი ხეივანში დასეირნობდა და ბოლთასა სცემდა; რამ წამს დამინახა, მაშინვე ჩემკენ წამოვიდა ღიმილით. აბა წარმოიდგინე, მკითხველო, მაღალი ტანი, განიერი მხარ-ბეჭი, სქელი კისერი, მოყვანილი, თავი-ჭაღარა-თმით დაფარული, მაღალი შუბლი-ზემოთ ცოტა მოტკეპილა, დიდრონი თვალები, მოპარსული პირის-სახე, ნიკაპის ქვეშ გამოშვებული ჭაღარა თმა, საზაფხულო შავი სერთუკი, ცის-ფერი შარვალი და თეთრი ჟილეტკა, ახალი გახამებული პერანგი და ზედ შავი ყელ-სახვევი — მთელს პირის სახეზე კმაყოფილება და ამასთანავე დიდ-კაცობა — ვიმეორებ, აბა ყველა ეს წარმოიდგინე, მკითხველო, და მაშინ თვალ-წინ გექნება იმ კაცის სურათი, რომელსაც მე დავუწყე ლაპარაკი. ეს რა მშვენიერი ბაღი გქონიათ?

— ,,ოო! ყველა მაგას მეუბნება, მითხრა სიამოვნებით.

— მე გარწმუნებთ, რომ მაინცშიაც არსად მინახავს ასე მორთული ბაღი.

— ,,მაინცშიაც!“ გაიმეორა გაგრძელებით ჩემმა მემუსაიფემ და თამამად სთქვა: ,,იქ, თუ გნებავთ, ბევრია ბაღეულობა, მაგრამ რომ ასე რეინს გადასცქეროდეს, ის კი მართლაც არ არის იქ.“ მართლაც ამ უფ. გოფმანის ბაღი მშვენიერი სანახავი რამ არის. ეს მდებარებს ზედ რეინის პირზე და ყოველ-გვარის ყვავილებით და სასიამოვნო ფანჩატურებით, ანუ სამუსაიფო ადგილებით შემკობილია. ამას გარდა ყველა სხვა და სხვა ხეხილს და ხეს გარეშემო სტოლები არტყია და უდგას კოხტა სკამები დიდი ფარნები ხომ უფრო ამშვენებენ აქაურობას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ აქედამ მცქერალს თვალ-წინ აქვს რეინი და ამისი გაღმა — მარცხენა ნაპირი და ამ ნა-

პირზე მოკმაზული სოფლები, რომლებიც ნათლად მოჩანან თავიანთ თეთრად გალესილის სახლებით და მაღალ გუმბათიან ეკკლესიებით.

— „თქვენ უნდა მოსულიყავით კვირა დღეს, რომ გენახათ, თუ რა ამბავია ხოლმე აქ — მითხრა კიდევ გადიდკაცებულმა გლეხმა და განაგრძელა: „კვირაობით და საზოგადოდ უქმე დღეებში მაინცადამ და ახლო-მახლო ადგილებიდამ დიდი ხალხი მომაწყდება ხოლმე ამ ბაღის მიზეზით.“

— რასაკვირველია, თქვენ ვაზის ბაღიც გექნებათ — ვკითხე მე იმას.

— „დიახ, მაქვს.“

— მაშ, როგორც ვხედავს, თქვენ მიწის მუშაობასაც მისდევთ.

— „დიახ. ერთის სიტყვით ყველა სოფლიურს საქმეს მივსდევ და უამისობაც არ შეიძლება სოფლად.“

— მე ძლიერ მსურს გავშინჯო აქაური სოფლიური მოწყობილობა და იმედი მაქვს, თქვენ ყველაფერს მაჩვენებთ.

— „დიდის კმაყოფილებით. აი ეხლა მუშები მიუენია და პურს გაბეგვინებ, წამოდით სანახავათ.“

გამიძღვა წინ ეს გლეხი და როცა ალაყაფის კარებთან მივედით, ერთბაშათ შედგა და მითხრა: „გთხოვ შებძანდეთ.“ ორნივე შევედით ალაყაფის კარებიდგან სახლის კარ-მიდამოში. ამ კარ-მიდამოს გარეშემო სულ შენობაებია. ერთი სარაია, რომელიც არის გაყოფილი სამ ნაწილათ: ერთს ნაწილში შეშეულობა ალაგია, მეორე ნაწილში ჭურია საქონლის საჭმელი და აწყვია სამუშაო იარაღი; მესამე ნაწილი კიდევ პურის გასალეწათ არის გადადებული. ამ სარაიას ერთის მხრით ცხენებისთვის თავლა ადგია, მეორე მხრით ბოსელი, რომელშიაც ჩემს დროს სამი უზარ-მაზარი ხარი და ორი კარგი ჯიშიანი ძროხაება, სარაიის მესამე ნაწილში ამ ჟამად ეშალა ძნა და ოთხი მოსული კაცი დიდის კეტებით ბეგვავდა, ესენი ამ გაშლილ ძნას გაზდევდნენ და გამოზდევდნენ. უნდა გენახათ, თუ ამ უბედურებს როგორ წურწურით ჩამოსდიოდათ ოფლი პირის-სახეზე.

— ასე რათ აბეგვინებთ ძნას? რატომ მაშინით არ ალეწინებთ? ვკითხე უფ. გოფმანს. „მაშინით!“ გაიმეორა ეს სიტყვა. „ასე რაღა უშავს. არც ასე მიჯდება ძვირათ.“

— ბზე რომ გეკარგებათ!?

— „ამ ჩალა-მულას ხომ საქონელი არა სჭამს.“ არც ვაჭმევ; განა ფშვია და თივა ცოტა მაქვს? მიპასუხა ჩემმა მემუსაიფემ და ის კი აღარ მიიღო სახეში, რომ საწყალი მუშები ღვიძლებს იგდებინებდნენ პურის ბეგვით. ბოსელს რომ დავუწყე დათვალიერება, ხელახლად ვკითხე უფ. გოფმანს:

— ეს საქონელი რატომ მიმდვრათ არა გყავთ, შინ რათ გიბიათ?

— „ამისათვის, რომ ეს საქონელი მიმდვრათ იმდენს არაფერს შესჭამს, რამდენსაც ფეხით ბალახს გამიფუჭებს; ამის გამო უმჯობესად ვრაცხავ შინ ვიყოლიო. ჩვენს სოფელში და ახლო-მახლო სოფლებშიაც ასეთი წესია,“

— საქსონიაშიაც ეგ წესია, მხოლოდ ფესთვალიაში კი არა, ვუპასუხე იმას.

— „საქსონიაში ჭკუიანი ხალხი ასხია და ეგ არ არის გასაკვირველი.“ ბრძნულად მიპასუხა ამ გადიდკაცებულმა გლეხმა.

— სახლის არე-მარეს დათვარიელებას რომ მოვრჩი, ვთხოვე მე ამას, რომ სადილის შემდეგ ბაღიც და მარანიც ეჩვენებინა. ეხლა კი ისევ მოკაზმულს ბაღში წავედით. მე იქ სადილი უნდა მეჭამა. მამა-ცხონებულს ცქრიალა ქალს ყველაფერი მოემზადებინა და მალე შევუდექი ჩემის კუჭის თავდარიგსა, ცოტას ხნობით უფ. გოფმანმა თავი დამანება. ცქრიალა ქალს საჭმლები სისწრაფიდ და რიგზე მოჭქონდა. აი როცა ნედლი თევზი მომიცურცულა, მე ის შევაჩერე და ვკითხე: თქვენ გოფმანის ქალი იქნებით?

— „არა. მოჯამაგირეთ ვდგევარ — ბარე ეს სამი წელიწადია.“

— მაშ სად გყავთ დედ-მამა!

— „მამა არა მყავს და დედა კი მეორე სოფელში სცხოვრობს ბიძასთან.“

— თქვენს ბიძას უთუოდ მამული ექნება?

— „ძრიელ მცირე, მაგრამ როგორც არის გამოდის და თავისთვის კარგად სცხოვრობს.“

— რატომ ბიძასთან არ დამდგარხართ? მოჯამაგირეობას იმასთან ცხოვრება არ გირჩევნიათ?

— „ბარემ მირჩევნიან, მაგრამ აკი გითხარით ბიძას მცირე მამული აქვს, მეთქი, და ის მამული მხოლოდ იმის ცოლ-შვილს ჰყოფნის: მე იქ სრულებით მეტი ვიქ-

ნებოდი და აბა რა იქნებოდა.“ როდესაც ეს ცქრიალა და კოპწია ქალი ამას ლაპარაკობდა, ერთბაშათ ხმა შემოისმა: „მარიამა! მოხედე,“ მაშინვე ეს სხვა სტუმრებისკენ გაქანდა.—დიდი ხანი არ გამოსულა, უფ. გოფმანი მძიმეთ ფეხების გადმოდგმით მოვიდა ისევ ჩემთან.

— „როგორ მოგეწონათ ეს ღვინო?“ მკითხა მე იმან.

— რა უჭირს,—ცოტა თხელი ღვინოა.

— „ოო! თხელია; აბა, მაშ ჩემს მარანში დავალევინებ ღვინოს და ვნახოთ რას იტყვით.“

რამ წამს სადილს მოვრჩი, მე და გოფმანი ბაღში წავედით და ჯერე ეს ბაღი დავათვარიელე. ჩვენებურათ რომ ვიანგარიშოთ, ეს ბაღი თითქმის ორი დღისა იქნება; მაგრამ ამ ბაღში ვაზის გარდა არაფრისგან არაფერი სდგას. ნუ იფიქრებთ, რომ აქ ხეივნები იყვეს დამართული. არა, თითოეული ვაზი ცალკე სდგას და უდგია მოკლე სარი. თვითონ ვაზიც სრულებით დაბალია და იმ ნაირათ არის გამწკრივებული, რომ ერთი ვაზი მეორე ვაზს არ აჩრდილებს. ამას გარდა, არა თუ ხეხილები არა სდგას ამ ბაღში, ბალახობაც კი არსად არის აქ. მთელი ბაღი გადაბარულია იმ ნაირათ, თითქო ხელით გაუმარგლიათო. რაც შეეხება ამის ღობეს, ეს სრულებით უბრალოა,—წნულის მგზავსი დაბალი ღობე ავლია. აქ ყურძნის მოპარვისა სრულებით არ ჰშინებიათ. ამ ბაღიდამ ჩვენ წავედით მარანში, ანუ სარდაფში, რომელიც არის გოფმანის მესამე ორ-სართულიანი სახლის ქვეშ. აქ სამთლით ჩავედით. დიდრონი ბოჭკები ამ მარნის კედლებთან ორ-პირათ არის გამწკრივებული. ზოგიერთს ბოჭკებში ძრიელ ძველი ღვინო სდგას. სულ კუნჭულში ერთი ბოჭკა მაჩვენეს, რომელშიაც თურმე ოცის წლის ღვინოა. ათის წლის ღვინო ხომ ბევრია ამ მარანში. ერთი ბოჭკიდამ სიმფონით სტაქანში ჩამოასხა ღვინო მემარნემ და მომიტანა. მე არა ვარ ღვინის შემტყობი, ღვინის მცოდნე, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ დიდის გემოვნებით დავლიე ნახევარ სტაქანზე მეტი და მსწრაფლად ვიგრძნე ამ ღვინის ძალოვნობა.

— ეს სრულებით სხვა ღვინოა, ვუთხარი მე უფ. გოფმანსა, და არა ჰგავს იმ ღვინოს, რომელიც მე, სადილზე მომიტანეს.

— „ეგ ღვინო ათის წლის ღვინოა და თქვენ რომ მოგიტანეს, ის ერთის წლისაა. საზოგადოთ მაგ ღვინოებში დიდი განსხვავებაა. ეგ ღვინო მხოლოდ მაშინ გამომაქვს, როცა საგანგებოთ ძველს და კარგს ღვინოს თხოულობენ,—ისე კი ახალ ღვინოს ვხმარობ სასტუმროში.“—მიპასუხა მე იმან.

რაც შეეხება ყურძნის დაწურვას, თურმე ეს კაცი, როგორც აქ სხვებიც, სწურავს საქაჯავით, ანუ „პრესსით“ და დიდის გაფთხილებით სიმფონის შემწეობით ერთის ბოჭკიდამ გადიღებს ხოლმე სხვა ბოჭკებში. ნუ იფიქრებთ, რომ ღვინის გადაღების დროს ჩაუყლონ რამე ბოჭკაში. სხვა სრულებით არაფერ ხერხს არ ხმარობენ აქ

სარდაფის გაშინჯვას რომ მოვრჩი, მადლობა ვუთხარი უფ. გოფმანს, რომ ყველა ეს მაჩვენა, და ერთათ წამოვედით ისევ სასტუმროს ბაღში ლაპარაკით. ლაპარაკში ვკითხე მე იმას:

— გუშინ აქაც გექნებოდათ დეპუტატების ამორჩევა და ვინ ამოარჩიეთ?

— „რასაკვირველია, გვქონდა და შულცე-დელიტჩიმ უფრო ბევრი ხმა მიიღო.“

— ლიბვნენტმა? ვჰკითხე მე იმას კიდევ და მინდოდა სულ წამოეყაჭა თავისი აზრი ამ საგანზე.

— „ვინ? ლიბვნენტმა! ცდილობდნენ კი იმის მომხრეები და რაღაც ბარათებს ავრცელებდნენ, მაგრამ ვინ ამოირჩევდა იმას. იცით ვინ არის ის!“ შესდგა ეს კაცი და დოინჯი შემოიყარა. მეგონა ფეხებს დამიტყაპუნებდა, თუ როგორ გავბედე და ლიბვნენტის სახელი ვახსენე. „ის ის კაცია, რომელსაც სურს, რომ ჩემი ჯიბე (დაიდო ხელი ჯიბეზე) და მუშის ჯიბე ერთი იყვეს და ამას, ერთი მითხარით, ვინ იზამს და ან რა მოსაფიქრებელია. ღმერთმა დაგვიფაროს იმისაგან და იმის მომხრეებისაგან. ჩემს მაზრაში ღვთის მადლით იმას აგრე-რიგათ არავინ თანაუგრძნობს.“ ეს რომ ასე გაცხარებული ლაპარაკობდა, ჩემს უნებურათ გონებაში მიტრიალებდა ფიქრები: სიმდიდრესაც ძრიელ სცოდნია კაცის გაწუწკება მეთქი. ეს გლეხი ძრიელ გაკუჭნულა, შეუძენია სიმდიდრე და ფეხებზე ჰკიდია, თუ ამის მოძმეებსა სიღარიბეში სული სძვრებათ; ამას ქარხანის რომელიმე პატრონზე ნაკლებათ არა აქვს გული გაქვავებული. ბაღშიაც მივედით და ცოტა ხნის შემდეგ გამოვეთხოვე გადიდკაცებულ გლეხს უფ. გოფმანს, ავიღე ჩემი პატარა ბარგეულობა და სამს საათზე გავუდექი ფეხით ვისბადენის გზას.—

ქართველი მგზავრი.

(შემდეგი იქნება)

რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

IX

მეორეს დღეს, როცა მზე გადიხარა და სიგრილე ჩამოვარდა, გერმასმა და პავლემ გამოიყვანეს სტეფანე მღვიმედამ წმინდა ჰაერზედ. სნეულს იამა ეს ამბავი და ცოტად მოჯობინდა. ორნივ ბერ-მონაზონნი მოესხდნენ ერთმანეთს ერთს კლდის პირზედ, საცა გერმასმა ახალი ბალახი დაუფინა, რომ სნეული ლბილად ჯდომილიყო. თვითონ გერმასი კი შვილდ-ისრით აკრიალდა კლდეებზედ დაცოცავდა და უნდოდა ჯიხვი ეშოვნა სნეულის მამისათვის.

არც ერთი სიტყვაც არ წამოუთქვამთ ბერ-მონოზნებს ვიდრე გერმასი არ მიეფარა კლდეებსა. მას შემდეგ კი სტეფანემ უთხრა:

— რა რიგად გამოიცვალა ჩემი შვილი მას აქედ, რაც მე ქვეშაგებათ ჩავვარდი! ბავშვი ვაჟკაცად გამიხადა. რა რიგის თავმოწონებით უჭირავს თავი.

პავლემ თავი ჩაღუნა და რამოდენიმე სიტყვა წამოიდუდუნა სტეფანეს სიტყვის თანახმად. პავლეს მოაგონდა დისკოს სროლა და გაიფიქრა: გერმასს უსათუოდ თავში სულ მოედანი უზის. მერე გუშინ თავიც დაიბანა. როცა სოფლიდამ ამოვიდა წუხელ, სწორედ ახალგაზდა ფალავანსა ჰგავნდა.

სტეფანე და პავლე ხმა ამოუღებლივ ისხდნენ, მაგრამ მათ შორის რაღაც იდუმალი კავშირი იყო, იმიტომ რომ ორივემ ერთს და იმავე დროს მიჰმართეს თვალები დასავლეთს, საიდაც მზემ სრულიად გადიხარა.

ქვემოთ ძალიან დაბლა და შორს მოჩანდა მეწამული ზღვა ტიტველა კლდეების ნაპირებითა, რომელთაზედაც მზის ოქროს სხივები ლაპლაპებდნენ. ზღვის ნაპირების სიახლოვესვე აწოწვილი იყო ჩაკბილული გვირგვინი უშველებელის მთისა. ეგ მთის კენწეროს კბილები, გაბრწყინვებულნი ჩამავალის მზის სხივებითა, სწორედ ბრწყინვალე სარტყელსა ჰგავნდა ცეცხლის ნაღვერდლის ფერ იაგუნდებით მორთულსა. მოჭირებული ნაღვერდლის-ფერი მოჰფენოდა მთელს დასავლეთის მხარეს ცის კამარისას; ღრუბლის სუბუქი ზეწარი თან-თან წამოესხა ზღვის ნაპირებსა, ვერცხლის ფრად ცაში მოფანტულ ღრუბლებმა ფერი შეიცვალეს; იგინი შეიღებნენ ახალის ვარდის ფრად და ზღვის პირის გორებზედ კი ამეტისტოს ლურჯი ფერი დაედვა.

ნიავიც არსაიდამ იძროდა, არსაიდამ ერთი მცირედი ხმაურობაც არ მოდიოდა, ერთის სიტყვით, არასფერი არ არღვევდა იმ საღამოის დიდებულს მყუდროებას.

ზღვა თან და თან მიბნელდა, მთის წვერებზედ ჩაქრა ბრწყინვალება მზისა და ღამემ გადააფარა თვისი ზეწარი მთებსა და ღელეებსა. სტეფანემ ლოცვისათვის გულზედ დაკრეფილი ხელები გაშალა და პავლეს ხმა მიჰსცა.

პავლე შეკრთა და თითქო ძილიდამ ეხლა გამობრუნდაო და ბურანში ლაპარაკობსო, იმ სახით უთხრა: შენ მართალი ხარ. ღამდება, აგრილდა კიდეც, დროა მღვიმეში შეხვიდე. სტეფანე არ ეურჩა; პავლემ მოჰკიდა ხელი და შეიყვანა მღვიმეში.

მძიმედ ამოიოხრა პავლემ, როცა ცხვრის ტყავს ჰხურავდა ავათმყოფსა.

— რა გიმძიმებს სულსა? ჰკითხა მოხუცმა.

— არ ვიცი, რა ვქნა? უპასუხა პავლემ გულამღვრევითა: აი ჩვენ ხომ ეხლა, ამ საღამოს შევხაროდით ერთს უდიდეს სასწაულს ღვთისას, მაგრამ მე წარმართთა უსირცხვილოს ამაოთ მორწმუნოებითა თვალ წინ მელანდებოდა ბრწყინვალე ეტლი მზის ღმერთისა, ფრთოსანის ცხენებით შებმული. ცხენებს ხმარობდა თვითონ ჰელიოსი, ღმერთი მზისა, და მშვენიერის ოქროს თმით შემკული. იგი ღმერთი მზისა ჰგავნდა შენს გერმასსა. მელანდებოდა დროთა ღმერთა მხიარულად მოთამაშე და მიმზიდველი ოქროს კარები ზიჭიერებისა. წყეულიმც იყოს ქმნილება იგი ეშმაკეული!.....

პავლემ სიტყვა შეჰსწყვიტა, რადგანაც ამ დროს გერმასი შემოვიდა მღვიმეში და თან მოჰქონდა მოკლული ჯიხვი.

— კარგი ნადირია! ჰსთქვა გერმასმა: ერთის ისრით წამოვაქციე ეს საწყალი. ეხლავ ცეცხლს ავანთებ და ერთს კაი ნაჭერს შეგიწვამთ.

ერთის საათის შემდეგ შვილი და მამა შეექცნენ შამფურზედ შემწვარს მწვადსა. პავლემ არ ინდომა ჭამა. რაც გერმასთან ერთად დისკო ისროლა, მას აქედ პავლემ აღთქმა დადო, რომ დიდი მარხულობა გასწიოს მოსანა-

*) «ივერია» № 40. 1878 წლისა.

ნიებლად, რადგანაც დისკოს სრული, როგორც ერის-კაცის საქმე, დიდ ტოდვით მიაჩნდა.

— ეხლა კი, დაიძახა გერმასმა როცა მამამ მისმა ჭკვამ გაათავა: ეხლა კი უფრო უკეთესი რამ მოვა. აი ამ ბოთლში საუცხოო ღვინოა.

სტეფანემ ჩამოართვა შვილს ხის ჩამჩა ღვინით სავსე, ტოტა დალია და ჭსთქვა:

— სწორედ კარგი რამ არის, სირიის ღვინოა! აბა ერთი ნახე, პავლეკ!

პავლემ ჩამჩა ღვინით ჩამოართვა, დასუნა ღვინოს და ტუჩი კი არ დააკარა და ჭსთქვა.

— ეს სირიის ღვინო კი არ არის, ეგვიპტისაა, მე ღვინოს კარგად ვიცნობ, იქნება მარეოტისაც იყოს.

— სირონამაც ეგრე ჭსოქვა! დაიძახა გერმასმა: ნუ თუ მართლა მარტო სუნით შეატყე!? სირონამ მითხრა, რომ ავთმეოფისათვის ძალიან მარგებელია.

— მართალი უთქვამს, ჭსთქვა პავლემ.

— სირონა? ვინ არის ეგ სირონა? იკითხა გაკვირვებით სტეფანემ.

მღვიმე საკმაოდ არ იყო განათებული ტეტხლისაგან, რომელიც შიგ კარებში აენთო გერმასს მწვადის შესაწვავათ და ამიტომ არც ერთმა ბერმა მონაზონმა ვერ დაინახეს, რომ გერმასი სტეფანეს კითხვაზედ ეურებამდინ წამოწითლდა, როცა ჭსთქვა:

— ვინ არის სირონა? გალიელი სირონა? ნუ თუ არ იცნობ? ცენტურიონის თვებიცის ცოლია, აი ქვეით სოფელში დგას.

— შენ საიდან შეხვედრიხარ? ჭკითხა მამამ.

— პეტრეს სახლებში დგას და როცა შეიტყო შენი დაჭრილობის ამბავი....

— ჩემ მაგიერ მადლობა გადუხადე, ხვალ რომ ჩახვალ სოფელში, უთხრა მოხუცმა, ცოლსაცა და ქმარსაცა. ქმარიც გალიიდამ არის?

— დიახ, უპასუხა გერმასმა: სახელად ლომს ეძახიან, გალიიდამ არის.

უმაწვილი კაცი მალე გამოვიდა გარეთ მღვიმედამ. ბებერი სტეფანე დასაძინად მოემზადა, პავლე კი წამოწვა გერმასის ქვეშსაგებზედ და ღამის თევა დაუბერა ავთმეოფის წინ.

სტეფანეს ძილი არ მოუვიდა და როცა შეგობარი მისი მოუახლოვდა და დასალევად წამალი მოაწოდა, ჭსთქვა: „გალიელის ცოლმა მე სიკეთე გამიწია და მე კი უფრო ძალიან მიამებოდა, რომ აქ თვითონ გალიელი არ გარეულიყოს“.

პავლემ კითხვით შეხედა და თუმცა მღვიმეში ბნელოდა, მაგრამ იგრძნო იმ შეხედვის ძალი და ჭსთქვა:

— მე არა ვისი მტრობა არა მაქვს და მიყვარს კიდეც მოყვასი ჩემი. მე დიდი თავლამოვის დასხმა მომაყენეს, მაგრამ მე შეეუნდევი და შეეუნდევი მართლისა და წრფელის გულითა. მარტო ერთი კაცია ქვეყანაზედ, რომლისათვისაც მე ბორტი მინდა და ის კაცი — გალიელია.

— შეუნდე იმასაც, უთხრა პავლემ: და ნუ იფთხობ ძილს მწარის ფიქრებითა.

— არა მიშავს რა! წამოიძახა ავთმეოფმა: შენ რომ ის მოგსვლოდა, რაც მე მოგიგია, შენც კი მოგიწამლავდა ღამის მშვიდობასა.

— მე ვიცი, ვიცი, აშოშმანებდა პავლე: გალიელმა შეაცდინა შენი ცოლი და ხელი აიღებინა შვილზედ და ქმარზედაცა.

— მერე რა რიგად მიყვარდა ჩემი გალიცერა! ამოიკვნესა ავთმეოფმა: რა რიგის ალერსით ეკერეოდა, რა რიგის სიმდიდრით ვამკობდი! მაგრამ მოვიდა გალიელი და შემოჭსდგა თვეი ჩვენს სახლში. უგემური იყო, როგორც დაძმარებული ღვინო, მაგრამ ენა ჭქოდა მაცდური და თვალები ტეტხლით სავსე და საწყალი ქალი ამით გაბა მახეში. მე გალიცერის სულისათვის დღე და ღამ ვლოცულობ.... რა ძლიერი ჯადო უნდა ჭქონოდა, რომ გალიცერას შვილზედ ხელი აიღებინა, შვილზედ, რომელიც გაგიჟებით უყვარდა. ოჭ, რა უბედური კაცი ვარ! პავლეკ, გეყვარებია შენ როდისმე ქალი?

— რატომ არა გძინავს? უპასუხა პავლემ: განა შეიძლება კაცმა ნახეკარი საუკუნე ისე გაატარო რომ სიყვარული არ გამოიარო? მაგრამ ჭსჯობს ლაპარაკი შეეჭსწყვიტოთ, რაცა ეჭსთქვით, გვეყოფა. დალიე ეს პეტრეს გამოგზავნილი წამალი.

წამალი პეტრესი ძალიან ძლიერი იყო, მალე გაჭსჭრა, ავთმეოფს ძილი მოჭვარა, მერე ისეთი ძილი, რომ მინამ მზე კარგა მაღლა არ ამოვიდა, არ გაუღვიძია. პავლემ კი მთელი ღამე უძილოდ გაათენა.

— შე კარგად მეძინა მთელი ღამე და კაი სიზმრებიც ვნახე, ჭსთქვა სტეფანემ: შენ ეგრე გათითრებული რათა ხარ, ასე გონია მთელი ღამე არ გძინებოდეს?

— მე? ჰკითხა პავლემ: არ ვიცი. მოდი ერთი წმინდა ჰაერზედ გავალ ცოტა ხნობით.

ამ სიტყვებზედ პავლე ადგა და გარედ გავიდა. სტეფანეს თვალს რომ მოშორდა, მძიმედ ამოიოხრა, გაიზმორა და აწითლებული თვალები მოიფშვნიტა. ამ სამის დღისა და ღამის უძილობის გამო თვალებში იმისთანა ტკივილსა ჰგრძნობდა, თითქო თვალებში ქვიშა ჩავარდნიაო. წყალიც ძალიანა ჰსწყუროდა, იმიტომ რომ ამ სამს დღე და ღამეში მისი ტუჩები არც საჭმელს მიჰკარებია და არც სასმელსა. ხელები უთრთოდა, ისე დასუსტებული იყო. მაგრამ სისუსტე და წვალება, რომელსაც იგი ამ ჟამად ჰგრძნობდა, მთელს მისს არსებას რაღაც ნელის სიხარულით ავსებდა. დიდის სიამოვნებით წავიდოდა ეხლა თავის საკუთარს მღვიმეში და იქ მიეცემოდა ტკბილს ოცნებას მასზედ, რომ ვითომ ჯვარზედ არის გაცმული და მასსაც, როგორც მაცხოვარს, ხუთის დაკოდილებიდამ ჰსდის სისხლი.

ამ დროს სტეფანემ დაუძახა. შევიდა სტეფანესთან და დაუწყო ლაპარაკი. ამ ხანად ამისათვის უფრო ადვილი იყო ლაპარაკი, ვიდრე მოსმენა, რადგანაც ყურებში შუილი აუტყდა შიმშილისა და სისუსტისაგან. ისე იყო თითქო დამთვრალაო მაგარის ღვინითა.

— ნეტა გერმასს არ დაავიწყდეს მადლი გადუხადოს გალილიელს, ჰსთქვა სტეფანემ.

მადლი გადუხადოს,—მადლის გადახდის თანამდებნი ჩვენ ყოველთვის უნდა ვიყვნეთ, უპასუხა პავლემ და თვალები დახუჭა.

— მე გლიცერა მესიზმრა, დაიწყო ხელახლად სტეფანემ: შენ წუხელის მითხარ, რომ შენს გულსაც უცვნია სიყვარული რაც არის. მაგრამ ცოლი ხომ თავის დღეში არ გყოლია. რას გაჩუმდი? მიპასუხე.

— მე?....რაო? ვინ მეძახის? წამოიდუდუნა პავლემ და უაზროს თვალით შეხედა სტეფანეს.

სტეფანე შეშინდა და როცა დაინახა, რომ პავლე თავიდამ ფეხამდე კანკალებს, წამოიწია და მიაწოდა ბოთლით ღვინო, სირონას გამოგზავნილი. პავლემ, რომელსაც ყოველი ღონე გამსჯელობისა მიხდოდა, გამოჰსტაცა ხელიდამ ბოთლი და სწრაფად გამოცალა. მხურვალე სასმელმა განუცოცხლა მისუსტებული ღონე; ლოყებზედ წითლად აუღვივდა და თვალთა სულ სხვა ბრწყინვალება გამოიჩინეს. ღრმად ამოიოხრა, მიიყრდო გულზედ ხელი და ჰსთქვა:

— რა რიგად მომიხდა მე ეს ღვინო!

სტეფანეს სრულად დაუმშვიდდა გული და ხელახლად განიმეორა თავისი კითხვა. მაგრამ მალე შეინანა რათა ვკითხეო, იმიტომ რომ მისის მეგობრის ხმა სულ სხვა რიგად მოისმა, როცა მან ეს უპასუხა:

— მე ცოლი ჩემს დღეში არა მყოლია. დიახ, თავის დღეში არა მყოლია, მაგრამ მე მყვარებია კი! მე ყველაფერს გიამბობ, ყველაფერს თავიდამ ბოლომდე. ოღონდ შენ სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ. გესმის? ნუ გაგამაწყვეტინებ მეთქი ნურც ერთხელ! მე ამ ხანად გული როგორღაც სხვა რიგათ მიცემს. იქნება ღვინისაგანაც იყოს... დიდი ხანია ღვინო აღარ დამილევია. მე ვმარხულობდი მთელი..... მთელი.... მაგრამ ეგ სულ ერთია. შენ ოღონდ ხმას ნუ ამოიღებ, მათქმევინე.

პავლე გერმასის ქვეშაგებზე იჯდა. თავი მიაყრდო კლდის კედელს, წარბი შეიჭმუხნა, თვალი მიაპყრა ცარიელს სივრცეს და დაიწყო:

— იგი ქალი იყო ტანადი და მშვენივრად მოყვანილი, როგორც იუნონა. შუბლი წაბლის ფერის თმებით შემოზღუდული უბრწყინავდა, როგორც სპილოს ძვალი. თვალთაგან იმისთანა ნათელი გამოჰკრთოდა, როგორც ბავშვსა, თუმცა იგი ისეც ახალგაზდა არ იყო. საზარელს ადგილას შევხვდი მას მე პირველად—მე იგი ვნახე საძაგელს რაკოტიის საპყრობილეში. ზედ ეცვა ოდესღაც მდიდრული და ეხლა კი გაძუცული კაბა. მას განუშორებლივ ზედ დაჰსტრიალებდა როგორც ხარბი ძაღლი დაჭერილს ხოხობს, ერთი მურალი და ჭუჭყიანი ბებერი დედა-კაცი და უშვერის პირით ლანძღავდა. ერთი სიტყვაც არ შეუბრუნებია ქალს ბებრისათვის. მხოლოდ მსხვილი ცრემლები მძიმედ ჩამოჰსდიოდა თვალთაგან ფერ მიხდილს ლოყებზედა. მე მაშინ დიდის ხნის მონათლული ვიყავ. მე, მდიდარს მენანდრს, პრეფექტის პომპეის ცოლისძმას, ყველგან ყოველ საპყრობილეში კარი ღია მქონდა და მაშინ მაქსიმინის დროს მრავალი ქრისტიანი სული საპყრობილეში იყო დამწყვდეული. ხოლო ის ქალი კი ჩვენგანი არ იყო. როცა მე და იმან თვალი მოვკარით ერთმანეთს და მე ქრისტიანობის ნიშნად პირჯვარი დავიწერე, იმან პირჯვარი არ გადიწერა. გუშაგებმა ბებერი

დედა-კაცი წაიყვანეს, ის ქალი კი იქ დარჩა, მიჯდა ბნელს კუთხეში იატაკზედ და ორივე ხელი თვალებზე დაიფარა ძლიერმა გულმტკივნეულობამ ამიტაცა და ეგ გრძნობა არ შემცირებია მაშინაც, როცა გუშაგმა უშვეჩის სიტყვით მიამბო, რომ ეს ქალიო ვიღაც რომაელს ხასად ქჯდაო ამ ბებრის სახლში და თვითონ ბებერი დედა-კაცი გაჭქურდაო. მეორე დღესაც გულმა საპყრობილისაკენ გაიწია. მე ის ქალი ისევ იმ კუთხეში ვნახე იმ რიგადვე მჯდომიარე. თავის კერძო საპყრობილისას ისეც ღარიბულს და ცოტას აწვდიდა პატარა ქრისტიანის ბავშვს, რომელსაც სიყვარულით გულზედ მიიკრავდა ხოლმე. ,,ვისაც ბავშვი ასე უყვარს, ის გულ წამხდარი არ უნდა იყოს მეთქი", ვჰსთქვი ჩემს გულში, უფრო და უფრო მებრალებოდა ის ქალი. ერთხელ მე სხვა და სხვა ნაირი ხილი მივუტანე. მან აიღო ხელში ვაშლი, ადგა ფეხზედ და ნელის ხმით მითხრა: მე შენ სხვას რასმეს შემოგავედრებ. შენ ქრისტიანი ხარ და გთხოვ ერთი ღვდელი გამომიგზავნო: მე მინდა მოვინათლო. მაგრამ ვინ იცის? იქნება ღირსიც არ ვიყო: მე ისე ბევრი ისე ძლიერ შემიცოდნია. ჰსთქვა ესა და ხოლო მისი ბავშური თვალნი ხელახლად ცრემლით აივსნენ.

ქრისტიანებთან ყოფნას, ცხადია, ემოქმედნა ქალზედ. ქალი ჩუმად მოინათლა და დაირქვა სახელად მაგდალინა. მისი შეცოდება ის იყო, რომ მოტყუებულიყო ბოროტის მაცდურის კაცისაგან, და იმის გულისათვის თავი დაენებებია ქმრისა და შვილისათვისა. იმ ხანად თვითონ საყვარელს დაენებებია მისთვის თავი და ანგარს სახლის პატრონს ბებერს დედა-კაცს, რომლისათვის სახლის ქირა არ მიეცათ, ჯავრი ამოეყარა მით, რომ მის დაბიზღებით მაგდალინას ქურდობა შეჰსწამეს თურმე და საპყრობილეში ჩაავდეს. ხოლო მაგდალინა უდრტვინველად ითმენდა ამ წუთის სოფლის ბოროტებას. თვითონ ჰსწყუროდა სასჯელი რამ მიეღო, როგორც სნეულს მწარე წამალი, ტკივილის დამაამებელი. ჩვენ თან თან უფრო დავუახლოვდით ერთმანეთსა. მე ველაპარაკებოდი ხოლმე, რომ მაცხოვარი ჩვენი ყოვლად მოწყალეა, რომ ყოველს შენანებულს ცოდვილს უფრო უკეთესი ნეტარება მოელის ცაში, ვიდრე ოთხმოცდა ცხრამეტს მართალსა. ჩემმა სიტყვებმა ააყვავეს მისი გული და სული და ამის გამო იგი უფრო და უფრო გამშვენიერდა ჩემს თვალში. მაგრამ ვფიცავ შემოქმედსა ჩემსა—ჩემს აღტაცებაში, ჩემს სიყვარულში არაფერი ხორციელი არ იყო. ვგრძნობდი კი, რომ უმისოდ ცხოვრება ჩემი შეუძლებელია.

,,ქრისტიანების დევნა უფრო განძლიერდა. მათმა გულის სიმაგრემ და სიმტკიცემ რომელნი მოთმინებიდამ გამოიყვანა. ერთხელ იმპერატორის ჯარის კაცნი მოვიდნენ საპყრობილეში და ყველა ქრისტიანებს ერთს ადგილს მოუყარეს თავი. მოხელემ წაიკითხა სახელები პყრობილის ქრისტიანებისა. მე სიაში არ ვიყავ ჩაწერილი, არც მაგდალინა ჩაეწერათ, იმიტომ რომ იგი სხვა დანაშაულობის გამო იყო დამწყვდეული. მოხელემ შეახვია კიდეც სია. ამ დროს მაგდალინა თავდაბლად წინ წამოდგა და თავ-მოწონებით უთხრა: ,,მეც ქრისტიანი ვარო".

,,სახე ისე უნათოდა როგორც ანგელოზსა. მოხელემ, კაცმა დიდად ღირსეულმა, დააკვირვა თვალი, მერე თავი გაიქნივა და ხმა მაღლა ჰსთქვა: ,,შენი სახელი სიაში არ არის.... და არ მინდა რომ იყოს"—დაუმატა მან დაბლა ხმით. მაგდალინამ ერთი ბიჯი კიდევ წინ წასდგა და ხმა მაღლა ჰსთქვა: ,,წყალობა მიიღე და მეც მომე ადგილი ჩემთა თანა მორწმუნეებთან გთხოვ სიაში ჩამწერო. ქრისტეს მოსავს მაგდალინას პატივობა არა სურს".

,,გული ჩემი განცვიფრდა. მეც სიხარულით წამოვიძახე: მეც დამნიშნე! ჩაჰსწერე: ქრისტეს მოსავს მენანდრს, გეროფილეს ძეს, პატივობა არა სურს. რომაელმა თავისი მოვალეობა აასრულა. ჩვენზედ პატარა მოშორებით ტახტი იყო ამართული. ერთ მხრივ მარჯვნივ ედგა კერპთ-მსახური მოგვი, მარცხნივ—იმპერატორის მოხელე. ორ-ორს მიგვიყვანდნენ ხოლმე. მე და მაგდალინა სულ ბოლოს ვიყავით. ერთი მოკლე სიტყვა სიცოცხლეს არჩენდა კაცს და მეორე კი—საშინელის ტანჯვით და წამებით სიკვდილს უქადდა. ოცდა ათის კაციდამ მარტო ოთხი არ გადუდგა თავის რწმენას და არ უღალატა მაცხოვარსა.

,,საოცარმა ნეტარებამ აღმივსო სული, ასე მეგონა ფრთა შეგვესხა და მაღლა სუბუქს ღრუბლებ ზევით ავდივართ ზეცაში. თავდაბლად და დაწყნარებით უარ-ვყავით პატივობა და ამასთანავე მადლი გადვუხადეთ იმპერატორის მოხელეს, რომელიც გვარიგებდა და გვირჩევდა ქრისტეს უარ-ყოფას, ერთსა და იმავე ოთახში, ერთსა და იმავე საათს ჩვენ ყველანი ჯალათს ხელში მიგვცეს. საშინლად აწამეს და აწვალეს საწყალი მაგდალინა, მარწუხით ხორცი ჰგლიჯეს, ძვლები რკინის კეტებით უმტვრიეს,

ხოლო მაგდალინას მიემართა თვალნი ცისათვის და ხმა გაკმენდილი სასოებით ცას შეჰყურებდა და გაოცებით ვუყურებდი თვითონ მაგდალინას. იმ საშინელს წვალებაში მე მომეჩვენა მაცხოვარი ანგელოზების გუნდით გარემოცული. ბრწყინვალე სხივებში და დაფრინავდნენ ანგელოზნი. ყურში მესმოდა ციური გალობა.

,,მაგდალინას ერთიც არ ამოუკვნესია, პირიდამ ხმა არ ამოუშვია, ისე ითმენდა იმ საშინელს წვალებასა. მხოლოდ ერთხელ წარმოსთქვა სახელი თავის შვილის გერმასისა. მე შევხედე და ვნახე, რომ მისი დიდრონი თვალები ცას შეშტერებოდა და ტუჩები უცახცახებდა. თუმცა ჯერ კიდევ ფეთქავდა, მაგრამ სულმა მისმა მიაღწია კიდეც ღმერთამდე. ჯალათი მაინც კიდევ ჰსტანჯვიდა, თუმცა მაგდალინა დაეწაფა კიდეც საუკუნო ნეტარებასა

,,სული ჩემი ვერ განშორდა ხორცსა. მაგდალინამ კი იპოვა უკვდავება ჯალათის ხელ ქვეშ. მე თვითონ დავუხუჭე თვალნი — ის საოცარნი თვალნი, რომლებშიაც თვითონ ზეცა გამოჰკრთოდა. მე შევხსენ ბეჭედი სისხლში მოსვრილ თითიდამ და მას აქედ არის აქ, აი აქ, - ამ უშვერს ტყაპუჭ ქვეშ ვინახავ და ვლოცულობ... ვლოცულობ.... ოჰ, გულო ჩემო! ერთი მალე შეაყენე შენც ფეთქა და მომარჩინე...,“

პავლემ წაივლო ხელი თავზედ და ღონე მიხდილი, გულ-შემოყრილი პირუკულმა გადიქცა ქვეშაგებზედ. სულ გაკმენდილი, აღელვებულის გულით ყურს უგდებდა ავათმყოფი პავლეს ლაპარაკსა. დიდი ხანი იყო რაც სტეფანე მუხლებზედ წამოჯდა და ისე უგდებდა ყურს, მაგრამ პავლემ ლაპარაკში ეს ვერ შენიშნა.

ცეცხლ-მოკიდებული, მთელის ტანის ცახცახით, სტეფანე ძლივ ძლივ მიცოცდა პავლესთან, რომელიც ღონე მიხდილი უგრძნოდ ეგდო, გადუღეღა გულზედ ტყაპუჭი მრთოლარეს ხელით დაუწყო ძებნა ბეჭედსა, იპოვა ბეჭედი და ისეთის მხურვალეს თვალით დააცქერდა, თითქო თვალით უნდაო ბეჭედის დადნობაო. ათასჯერ მიიკრა ის ბეჭედი ხან ტუჩებზედ ხან გულზედ. ბოლოს მიიფარა თვალებზედ ხელი და მწარედ დაიწყო ქვითინი.

ამ ყოფას შემოესწრო გერმასი, რომელიც ის ის იყო სოფლიდამ ამოვიდა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა სტეფანეს პავლეს ყოფა, იშველია შვილი და პავლე გონზედ მოიყვანა.

ამ ხანად კი პავლემ აღარ იუარა სასმელი და საჭმელი. როცა სასმელ-საჭმელით ღონე მიიცა, პავლე და სტეფანე ერთად გავიდნენ გარედ წმინდა ჭაერზედ და აქ შეიტყო სტეფანესაგან, რომ მაგდალინა ამისი ცოლი იყო. მაშინ პავლემ ინიშნა გერმასზედ და უთხრა სტეფანეს: ,,ეხლა კი მესმის რად შემიყვარდა მე ეგ პირველ(ნახვაზედვე“.

სტეფანემ ხელი ჩამოართვა და მეგობრულად მოუჭირა. იგი ჰგრძნობდა რომ მის და პავლეს შორი ჩამოვარდა ახალი, სათუთი კავშირი. ნელის სიხარულით აევსო გული, რაკი შეიტყო, რომ მისი ჯერ კიდევ აქამომდე საყვარელი ცოლი, დედა მისის გერმასისა, წამებულ იქმნა ქრისტიანობისათვის და მით გაიხსნა გზა ზეციურის ნეტარებისა.

მშვიდობიანად როგორც ბავშმა გაატარა ძილში დამდეგი ღამე და როცა მეორეს დღეს მოვიდა რაიტიდამ მოციქული, რათა ჰსთხოვოს პავლეს ჩამოვიდეს სიონის მთიდამ და მიიღოს ქრისტიანთა წინამძღვრობა, სტეფანემ უთხრა: ხმა ამოუღებლივ მიიღე ეგ წინამძღვარობა, შენ ყოვლად ღირსი ხარ მაგისი. მე ეხლა შენი შველა აღარ მინდა, მე უშენოთაც მოვრჩები“.

ხოლო პავლე უფრო შეწუხდა ამ ამბავზედ, ვიდრე გაუხარდა, ჰსთხოვა მოციქულს შვიდის დღის პაემანი, მოვიფიქრეო. მას აქედ დაიწყო ხან აქ, ხან იქ წმინდა ადგილების სალოცავად და ბოლოს გასწია სოფლისაკენ ეკკლესიაში სალოცავად.

(შემდეგი იქმნება)

წერილი რედაქტორთან.

უფ. რედაკტორო! ,,ივერიის“ 39 №-ში არის დაბეჭდილი ქუთაისის თეატრის მატიანე, სადაც სხვათა შორის, კორრესპონდენტი ამბობს შემდეგ სიტყვებს:

,,თ. ი. აბაშიძემ, ერთგულმა ბულვარის მტკეპნელმაო ქართულის სცენის მოყვარეთა წრის ფულები 400 მანეთი ჩაყლაპაო!“

ბულვარის მტკეპნელს ჩვენში იმ კაცს ეძახიან, ვისაც საქმის არც გაგება აქვს, არც გამოკვლევა შეუძლია, და

ვინც წინ-დაუხედავათ როტავს, რაც კი რამ ენაზე მოადგება, თქვენს კორრესპონდენტს რომ იმ საქმის გაცნობა ნდომებოდა, ან შეძლებოდა, რომელზედაც სწერს, იმას ადვილად შეეძლო ჩემთვის ან ვინმე ამ საქმის მცოდნე კაცისათვის ეკითხა გარემოებანები. მაშინ ის თვითონ, საბუთების გაშინჯვით და დამსწრენის გამოკითხვით დარწმუნდებოდა შემდეგში:—პირველი რომ, მე წარმოდგენის ფულები არც მქონია და არც მაქვს, და მეორე 400 მანეთი თავის დღეში თეატრის და ნამეტურ წრის ფულები არ ყოფილა ჩემს ხელში.

სამ კაცს: უფ. ა. ლორთქიფანიძეს, უფ. ი. მესხს და მე ჩაბარებული გვქონდა აქაური სამეფო სახლი მართებლობისაგან. გამკარგულებელად ამ საქმეში გამომარჩიეს მე. რასაკვირველია, მე ვცდილობდი ამ სახლისაგან შემეძინა რამ იმ წრის სასარგებლოთ, რომელიც იმ დროს თაობნობდა, ქუთაისის თეატრის საქმეს. ეს სახლი იყო ჩვენს ხელში 15 თვე და რაც შემოვიდა, იმის ანგარიშს დაწვრილებით ვაბარებდი წრეს, როდესაც ის მოითხოვდა. დღეს, როდესაც აღარც სახლია ჩვენს ხელში და წრეც დაიშალა, რასაკვირველია, რომ თუ რამ ფულები არის, დარჩა ჩემს ხელშიდ, რომლის ანგარიშის მისაღებლათ რამდენჯერმე ვსთხოვე წრეს მოეყარა თავი და მიეღოთ ჩემგან ანგარიში, მაგრამ დღემდის არც წრის წევრები შეერილან და არც ანგარიში მოუთხოვნიათ ჩემგან. მართალია, ზოგიერთმა იმ წრის მწევრებმა, რამდენჯერმე მთხოვეს იმ ფულებიდამ ზოგი რამ მესესხებინა მათთვის კერძოთ, მაგრამ მე ვერ გავბედე ამ გვარი პასუხის გება, სანამ მთელი წრე ჩემგან ანგარის და ფულს არ ჩაიბარებდა. ბევრი ეხლაც მემდურის ამ უარის თქმაზე, მაგრამ თქვენ დამეთანხმებით, რომ სხვათაშორის მოქცევა მე არ შემეძლო.—ჯერ რომ არ გამიბინევია ფულები და ყოველ წამში შემიძლია დაბრუნება წრისთვის, თქვენი კორრესპონდენტი 400 მანეთის ჩაყლაპვას მაბრალებს, ღმერთი რომ გამწყრომოდა და კერძო პირებისთვის დამერიგებინა, მაშინ ფულს ხომ უტბათ ვერ შეეკრებდი, და რაღა თქმა უნდა რომ ვისაც არ ერგებოდა რა ფულის დარიგების დროს, ის მგონია სისხლის სამართალშიაც მიგრავდა თავს.

ვაბოლოებ ჩემს წერილს მით, რომ გიგზავნი ანგარიშს იმ ფულებისას, რომელნიც სხვა და სხვა დროს შემოვიდა სამეფო სახლიდამ.—და საბუთებს ამ ანგარიშისას წარგუდგენ წრის მწევრებს, რომელნიც წარმოთქმენ გაზეთით, თუ როგორ ვიქცეოდი, ან მოვიქეცი ამ შემთხვევაში, ან რამოდენი მანეთი ჩავულაპე, ანუ ჩაჭყლაპა სხვამ.

რაც შეეხება აქაურს ახალს წრეს, მას არა აქვს ნება მოითხოვოს ჩემგან რაიმე ანგარიში.—იმას ჩემთვის არაფერი ჩაუბარებია, და არაფერს ანგარიშს არ მივსცემ.

ივ. აბ.

ფოთი, 10 სექტემბერს 1878 წ.

ანგარიში.

შემოვიდა სამეფო სახლიდამ 1875 წ. 28 აგვისტოდამ ნოემბრამდე 1876 წ. ქორა. სულ 361 მან. ამ ფულებიდამ დაიხარჯა, თუ ზალის შეკეთებაში, თუ აქაურს უფასო შოლას გაუგზავნეთ სულ 111 მან. *) დარჩა სადღი წრეს— — — — — — 250 მან.

ივანე აბაშიძე.

განცხადება.

გამგეობა მიხაილის აზნაურობის საადგილმამულო ბანკისა აცხადებს, რომ ამა ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით გამგეობაში საზოგადო კაკრობით გაისყიდებიან შემდეგნი უძრავნი მამულნი:

ლოლობერიძისა, გიორგი ბესარიონის ძისა, მდებარებდა ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.

ჩარექოვისა, ელისაბედ სიმონ მურვანოვის ასულისა, მდებარე ქ. ქუთაისი, გეგუთის ქუჩაზე.

ტფილისის ქალაქის გამგეობა (უბრავა) აცხადებს, რომ ამომრჩეველთა სიები მომავალ არჩევანისათვის შედგენილი არიან და გაგზავნილნი ყველა აქაურ გაზეთების რედაქციაში დასაბეჭდად მათთა ქალაქელ ხელ-მომწერლებთათვის. გარდა ამისა მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ ამომრჩეველთა სიები ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის 10 საათიდამ ვიდრე შუადღის 2 საათამდე. ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ მსურველთ შეუძლიანთ თვისი შენიშვნა ხსენებულ სიების ნაკლულევანებაზედ მიჭმართონ გამგეობას ორის კვირის განმავლობაში, თერთმეტის ღვინობისთვიდამ მოყოლებული.

---

*) დასამტკიცებელი საბუთები და კვიტანციები არის საქმეში, რომლებსაც განიხილავს წრე.—

ანგარიში

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა პირველის ნახევრის 1878 წლისა.

1878 წელს პირველს იანვარს ირიცხებოდა:

შემოსავალი	მანეთი.	კაპ.
წილის ფული	2723	70
სასარგებლოთ შემოტანილი	678	—
ნასესხი	560	—
მოგება	476	24
სათადარიგო თანხა	19	7
სულ	4457	1

გასავალი	მანეთი.	კაპ.
გასესხებული	4025	50
ნაღდი ფული	431	51
სულ	4457	1

პირველის იანვრიდამ პირველს ივლისამდე

შემოსავალი	მანეთი.	კაპ.
წილის ფული	1661	3
სარგებელი დაჭერილი გასესხების და ახა-ლი ვადის მიცემის დროს	458	46
დაბრუნებული ნასესხი	5565	50
ჯარიმა	32	10
სასარგებლოთ შემოტანილი	591	50
სათავდარიგო თანხა	47	84
აღებ-მიცემობისა	1	20
სულ	8357	63

გასავალი	მანეთი.	კაპ.
გასესხებული	6663	50
წილის ფული	44	60
მოგება წილზედ	186	—
სარგებ. ვად. წინ გადახდილი ნასესხისა	24	69
სასარგებლოთ შემოტანილი	703	—
ამის სარგებელი	14	64
ნასესხი	300	—
აღებ-მიცემობისა	234	54
სულ	8170	97

1878 წლის ივლისის თვისათვის დარჩა

შემოსავალი	მანეთი.	კაპ.
წილის ფული	4340	13
სასარგებლოთ შემოტანილი	566	50
ნასესხი	260	—
სათავდარიგო თანხა	66	91
წმინდა მოგება	508	13
სულ	5741	67

გასავალი	მანეთი.	კაპ.
გასესხებული	5123	50
ნაღდი	618	17
სულ	5741	67

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 Октября 1878 г. Типографія Амб. Энфіаджіанцъ. რედაქტორი და გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე